

ვნეზიტი ზვარის ფორმატა გამოყენება თანამედროვე
სამეცნიერო ლიტერატურის ენაში*

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებელია მისი ფუნქციონირების ყველა სფეროს მონაცემთა გათვალისწინება. იგრძნობა ამ მიზნით სამეცნიერო ენის თავისებურებათა შესწავლის აუცილებლობა. მხატვრული და პუბლიცისტური ლიტერატურის ენობრივი ფაქტები შედარებით ფართოდ არის ასახული და გაანალიზებული სპეციალურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში, არსებულ გრამატიკებსა თუ ლექსიკონებში.

თანამედროვე ენათმეცნიერული თვალსაზრისით ინფორმაცია ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის შესახებ არასრული იქნება, თუ არ არის ასახება სამეცნიერო სტილის მონაცემებიც, ვინაიდან თანამედროვე სამეცნიერო სტილი ითვლება, სალიტერატურო ენის სხვა ფუნქციურ სახესხვაობათა გვერდით, მკვეთრად ჩამოყალიბებულ, თავისებურ ენობრივ მოვლენად¹.

ქართულ სალიტერატურო ენაზე უკვე თითქმის ყველა დარგში არსებობს მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა (ორიგინალური თუ თარგმნილი). ახლა „ქართული გამოიყენება არა მარტო საყოველთაო საუბრისათვის და ელემენტარული კომუნიკაციის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ იგი თანამედროვე მეცნიერების ენაც არის“². და კიდევ, „ქართული ენის ლექსიკა ისე მდიდარი არასოდეს ყოფილა, როგორც ის ამჟამად არის, როცა ქართულად ენა აიდგა ყველა მეცნიერებამ, მათ შორის საბუნებისმეტყველომ და უმაღლესი მათემატიკის სხვადასხვა დარგებმა“³. ამან განაპირობა ტერმინოლოგი-

* ძირითადი დებულებები მოხსენდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 42-ე სამეცნიერო სესიას, 1985 წ. (თეზისები დაბეჭდილია).

¹ Шмелев Д. Н., Русский язык в его функциональных разновидностях (к постановке проблемы), М., 1977 г.; Кожина М. Н., Стилистика русского языка, М., 1983 г. და სხვ.

² ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974 წ., გვ. 233.

³ არნ. ჩიქობავა, ქართული ენა, როგორც პოლივალენტოვანი სალიტერატურო ენა, ქსეს, I, თბ., 1972 წ., გვ. 11.

ური ლექსიკის გამდიდრების გარდა, ენის ზოგი მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალების სხვაგვარად ამოქმედება, რიგ შესაძლებლობათა გამოვლენა, ზოგიერთი ენობრივი მოვლენის აქტივიზაცია და სხვ.

საერთოდ, სამეცნიერო სტილის თავისებურებები გამოიყვება ობიექტური სინამდვილის შეცნობისა და არსებული ენობრივი საშუალებებით სამეცნიერო თხზულებებში ძიების შედეგების გადმოცემის პროცესში. ასევე მოხდა ქართულ სალიტერატურო ენაშიც, სადაც გასათვალისწინებელია თარგმანის თავისებურებანიც.

იმთავითვე ობიექტური მიზეზებითაა განსაზღვრული სამეცნიერო სტილის ზოგადი მოთხოვნები: ობიექტურობა, ლოგიკურობა, საბუთიანობა, აზრობრივი სიზუსტე და სიცხადე, განყენებულობა-განზოგადებულობა; მხატვრული და პუბლიცისტური სტილისაგან განსხვავებით — სიმშრალე, სიმკაცრე და ნაკლები ემოციურობა, თუმცა მისთვისაც არის დამახასიათებელი ერთგვარი ფარული ექსპრესიულობა, რაც სხვადასხვა ენობრივი საშუალებით მიიღწევა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ენობრივ-სტილისტიკურ საშუალებათა გამოყენების თავისებურებებს მეტ-ნაკლებად განსაზღვრავს კვლევის თემა, სამეცნიერო თხზულების მიზანი და ფორმა, ავტორის პიროვნული თვისებები და პროფესიული შესაძლებლობანი. ენობრივ საშუალებათა გამოყენების მიხედვით, სხვადასხვაგვარი ვითარება აღმოჩნდება საკუთრივ მეცნიერულ გამოკვლევებში, სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში და მეთოდურ (სასწავლო-სახელმძღვანელო) ლიტერატურაში.

სპეციალურ ლიტერატურაში სამეცნიერო ლიტერატურის ენობრივ-სტილისტიკურ თავისებურებათა შესახებ აღნიშნულია, რომ ლექსიკურ, მორფოლოგიურ თუ სინტაქსურ საშუალებათა არჩევა-გამოყენება შეპირობებულია სტილის თავისებურებებით და, პირიქით, სამეცნიერო სტილი დამოუკიდებელ ფუნქციურ ერთეულად გამოიყოფა დასახელებულ ენობრივ საშუალებათა თავისებურად გამოყენების საფუძველზე⁴.

⁴ იხ. კრებულები: „Особенности языка научной литературы“, М., 1965 г.; „Особенности стиля научного изложения“, М., 1976 г.; „Язык и стиль научной литературы“, М., 1977 г.; „Стиль научной литературы“, М., 1978 г.; „Лингвостилистические исследования научной речи“ М., 1979г.; იხ. აგრეთვე: Крылова О. А., Основы функциональной стилистики русского языка, М., 1979 г.; Рошин А. Н., Крылова О. А., Одинцов В. В., Функциональные типы русской речи, М., 1982 г.; Зверева Е. А., Научная речь и модальность, Л. 1983 г.; გ. კვარაცხელია, სამეცნიერო სტილის ზოგი თავისებურება, ივ 21, 1979წ.

ფუნქციების თვალსაზრისით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკურ ერთეულთა ერთგვარი დახასიათება მოცემულია ქართული ენის განმარტებითსა და, ნაწილობრივ, ორთოკრაფიულ ლექსიკონებში, როცა ამა თუ იმ სიტყვასთან მიითებება საქმიანობისა თუ მეცნიერების იმ დარგზე, საიდანაც ეს ერთეული შესულია სალიტერატურო ქართულში. ასეთი მიითებებია, მაგალითად: ავიაც. (ავიაცია), ანატ. (ანატომია), არითმ. (არითმეტიკა), არქიტ. (არქიტექტურა), ბიოლ. (ბიოლოგია) და მისთ. ზოგ მიითებებაში ჩანს ლექსიკურ ერთეულთა შეფასება სოციოლოგიური თვალსაზრისითაც: ძვ. (ძველი), წიგნ. (წიგნური), საუბ. (საუბრული) და მისთ. ასეთ კვალიფიკაციაში უკუფენილია ლექსიკის დახასიათება სწორედ ფუნქციონალური სტილისტიკის თვალსაზრისით.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის ფუნქციონირების თვალსაზრისით შეფასების თეორიული საფუძვლები განხილულია ბ. ფოჩხუას მონოგრაფიაში „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ (თბილისი, 1974 წ.). მაგრამ ასევე აუცილებელი ჩანს სხვა ენობრივ (მაგალითად, მორფოლოგიურ, სინტაქსურ) საშუალებათა შესწავლა-დახასიათებაც ამავე მიზნით, განსაკუთრებით კი, სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხთან დაკავშირებით⁵.

სხვა განვითარებული სალიტერატურო ენების მსგავსად, უფრო ხანგრძლივი ისტორია აქვს ქართული მხატვრული სტილის მეტყველებას, რომელშიც, საკუთრივ პოეტურის გარდა, პუბლიცისტური სტილიც ივარაუდება ნაწილობრივად. ბუნებრივია, უკეთ შესწავლილია ამ სტილის ფუნქციონალური თავისებურებებიც⁶. ამჟამად კი ფუნქციონალური სტილისტიკის პოზიციებიდან შეისწავლება ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ენაც.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციურ სხვაობათა შესწავლა ნათელს ხდის, რომ აქაც ზოგადად სტილისტიკური განსხვავების საფუძველი და განმსაზღვრელია არა ახალ ენობრივ საშუალებათა ქმნალობა, არამედ, ძირითადად, ენაში არსებული გრამატიკუ-

გვ. 10—18; მისივე, Функциональные системы научного и газетного стилей (на материале грузинского языка), автореферат докторской диссертации, Тбилиси, 1985 г. და სხვ.

⁵ გ. შაქავერიანი, სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგჯერადი საკითხი, „ცისკარი“, 1968 წ., № 12, გვ. 126—130.

⁶ ივ. გიგინეიშვილის წერილები დავით გურამიშვილის, ვაჟას, ილიას, „რუსულანინის“, „ვეფხისტყაოსნის“ და ა. შ. ენის შესახებ (ბიბლიოგრაფია იხ. ლ. ლევაგას წიგნში „ივანე გიგინეიშვილი“, 1986 წ.); გ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957 წ.

ლი საშუალებების ახალ შესაძლებლობათა გამოვლენა, რომელიმე ენობრივი მოვლენის გააქტიურება.

თანამედროვე ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ენაზე დაკვირვება ერთ-ერთ ასეთ გააქტიურებულ მორფოლოგიურ-სინტაქსურ საშუალებად გამოავლენს ვნებითი გვარის ფორმების უხვად, ზოგჯერ კი მეტად თავისებურად გამოყენების ფაქტს.

სამეცნიერო ლიტერატურის ენაში, პრესის ენის მსგავსად⁷, ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა არჩევის უპირატესობას განსაზღვრავს ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა ძირითადი სემანტიკა: რეალურად მოქმედი პირის გაუჩინარება, მთელი ყურადღების გადატანა რეალურ, აზრობრივ ობიექტზე და თვით მოქმედების ფაქტზე (ამდენად, აზრობრივი ობიექტის გრამატიკულ სუბიექტად გაფორმების უნარი). ამ დროს ასეთი ლოგიკური აქცენტირების ცვლილება მიიღწევა აზრობრივი სიტუაციის მონაწილეთა სინტაქსური იერარქიის შეცვლით (სახლს აშენებს ახალგაზრდული ბრიგადა — სახლი შენდება ახალგაზრდული ბრიგადის მიერ).

სამეცნიერო ლიტერატურის ხასიათიც და დანიშნულებაც უპირატესად მოითხოვს სწორედ ამგვარ კონსტრუქციებს, რომლებშიც ლოგიკური და აზრობრივი მახვილი კეთდება თვით ობიექტურ სინამდვილეზე, ფაქტზე და არა ამ ფაქტის შემოქმედზე. ოღონდ, პრესის ინფორმაციისაგან განსხვავებით, აქ საკმარისია ითქვას „სახლი შენდება“. აზრობრივი სუბიექტი, რომელიც კონსტრუქციაში პირმიუმართავი (უბრალო) დამატების ფუნქციით შეიძლებაოდა ყოფილიყო, აუცილებელი არ არის, ზოგჯერ კი ზედმეტიცაა⁸.

ამდენად, ნათელია, რომ ვნებითის ფორმათა ზოგადი სემანტიკა კარგად მოერგო სამეცნიერო სტილის მოთხოვნებს. იგი მოხერხებული აღმოჩნდა სამეცნიერო კვლევის შედეგების გადმოსაცემადაც და მათი პოპულარიზაციისთვისაც. მაშასადამე, გამოიყენება ყოველგვარი უანრისა და დანიშნულების სამეცნიერო ლიტერატურაში. ამიტომაც ვნებითის ფორმები (და, შესაბამისად, პასიური კონსტრუქციები) სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გაცილებით უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე აქტიური ფორმები. ჩვეს მიერ შესწავლილი მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ზმნის გამოყენებულ ფორმათა მთელი რაოდენობის ორ მესამედზე მეტი ვნებითის ფორმებია მათი ყველა შესაძლებელი წარმოებით, მაგრამ არა ყველა შესაძლებელი ლექსიკურ-სემანტიკური ნიუანსით.

7 თ. ღვინაძე, ვნებითი გვარის ფორმათა გამოყენებისათვის თანამედროვე პრესის ენაში, ქსკს, III, 1980 წ., გვ. 241—263.

8 არნ. ჩიქოვაძე, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, I, 1950 წ.,

ინიანი ვნებითები

ძალზე საინტერესო სურათს იძლევა შესწავლა ინიანი ვნებითის ფორმებისა, რომელთა გამოყენების სინშირე იმაზე მეტია, ვიდრე ყველა დანარჩენი წარმოების ვნებითის ფორმებისა ერთად. ეს ადვილად აიხსნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ინიანი ვნებითების ღიდი უმრავლესობა ითავსებს ჩვეულებითობა-ზოგადობის, შესაძლებლობის (პოტენციალისის), უკუტყვევითობის სემანტიკურ ნიუანსებად. ასეთი სემანტიკა კი სამეცნიერო ტექსტებში წინ არის წამოწეული.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის თვალსაზრისით ზოგჯერ (მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის ენაში) არაბუნებრივად, სალიტერატურო ენის ნორმებისაგან გადახვევად ჩაითვლება ვნებითის ფორმის შემცველი ისეთი კონსტრუქცია, რომელშიც რეალური (აზრობრივი) სუბიექტი წარმოდგენილია ირიბი (ნათესაობითის ან მოქმედებით-ინსტრუმენტალისის) ბრუნვის ფორმებით. მაგ.: სახლი იგება ახალგაზრდების მიერ (ან ახალგაზრდების ძალებით, ინიციატივით, ხელებით, საშუალებით...). თუ გამონათქვამის დანიშნულებათა ყურადღების გამახვილება მხოლოდ მოქმედების ფაქტზე, მხოლოდ ინფორმირება ამ ფაქტის შესახებ, მაშინ საკმარისი და ბუნებრივია კონსტრუქცია: **სახლი იგება**. ხოლო თუ მოქმედების რეალური ჩამდენის, შემსრულებლის დასახელებაც აუცილებელია, მაშინ ბუნებრივია აქტიური ფორმების გამოყენება: **სახლს აგებენ ახალგაზრდები**.

სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გამოყენებულ ვნებითის ფორმებთან, როგორც აღნიშნული იყო, აზრობრივი სუბიექტის წარმოდგენის საჭიროება უმეტესწილად არ იგრძნობა, ვინაიდან თითქმის ყოველთვის თვით მოქმედების ფაქტზე, პროცესზეა მთელი ყურადღება გადატანილი. ამიტომ ნაკლებად გვხვდება აზრობრივი სუბიექტი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით ან ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმით გაქვავებულ დამხმარე სიტყვასთან ერთად. მაგალითად:

სარქველზე თითის დაჭერისას საღებავი წნევით გაიფრქვევა („მეცნ. და ტექნ.“); იგი ვიბრირებული ფხვიერი მასის საშუალებით ზედაპირზე გამოიღვევა („მეცნ. და ტექნ.“).

ვნებითის ფორმის შემცველი კონსტრუქცია აზრობრივი სუბიექტის მიერ, -გან-თანდებულებიანი ნათესაობითის ან მოქმედებითის (ინსტრუმენტალისის) ფორმით სპეციალურ ლიტერატურაში დახასიათებულია უფრო „ნამდვილი“ პასივის კონსტრუქციად ვნებითის სხვა.

საწყისი მერიდიანის მიმართ ყოველი სხვა მერიდიანის მდგომარეობა ადვილად განისაზღვრება (ასტრ.); გაცხელების დროს ტომატში ისპობა მიკრო-ორგანიზმთა ვეგეტაციური ფორმები („მეცნ. და ტექნ.“); ამ შემთხვევაში დაჯახების შედეგად მომხდარი დეფორმაცია მთლიანად არ მოიხსობა (ფიზ.); რაც უფრო მეტი ამონენტი ცდილობს ერთსა და იმავე მომენტში ტელეფონით სარგებლობას, მით უფრო მეტად იტვირთება სადგური („მეცნ. და ტექნ.“).

ამგვარსავე კონსტრუქციებში იხმარება წარმოიქმნება, წარმოიშობა ფორმები (ერთმანეთის სინონიმურად), ირკვევა, იყოფა, იშლება, იცვლება, აღიძვრება, იხარჩება, იხსნება და მისთ.

ვნებითის ფორმები დასახელებულ ილუსტრაციებში ღრო-კილოთა I ჯგუფის, უმეტესად კი აწმყოს ფორმებითაა წარმოდგენილი. განყენებულობა-ზოგადობის სემანტიკა გარკვეულწილად ამ ფორმებთანაც არის დაკავშირებული, მაგრამ ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ვნებითის ფორმას უნდა ჰქონდეს; უკუქცევითობის სემანტიკური ნიუანსისათვის კი ვნებითის ფორმა განმსაზღვრელია.

დასახელებულ ფორმათა მნიშვნელობა არ ემთხვევა განზოგადებულსუბიექტიანი აქტიური ფორმების მნიშვნელობას, რაც ჩვეულებრივია, მაგალითად, ამგვარი ფორმებისათვის პუბლიცისტურისა და ზოგჯერ მხატვრული ლიტერატურის ენაში. აქტიური სემანტიკის ჭრის ზმნის შესატყვისი ვნებითის ფორმა იჭრება შინაარსობრივად, ჩვეულებრივ, ბადალია განზოგადებულსუბიექტიანი ჭრიან ზმნისა. ასე, წინადადება — ტყეში ხეები შერჩევით იჭრება — ნიშნავს: ტყეში ხეებს შერჩევით ჭრიან; წინათ ფული ზარაფხანაში იჭრებოდა — წინათ ფულს ზარაფხანებში ჭრიდნენ (მაგალითები ამოღებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ერთტომეულიდან); საკითხი დაუღბითად იჭრება (პრესის ენიდან) ნიშნავს: საკითხს დაუღბითად ჭრიან და მისთ. სამეცნიერო ლიტერატურის ენაში კი იჭრება, გადაიჭრება ფორმები ძირითადად საკუთრივ ვნებითური სემანტიკით გამოიყენება: შეიძლება გაჭრა (გადაჭრა), შეიძლება ან უნდა გაიჭრეს (გადაიჭრეს) და სხვ. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იჭრება ზმნა მნიშვნელობით „შეიჭრება“ (შეიჭრა) ყველანაირი სტილის და, კერძოდ, სამეცნიერო სტილის მეტყველებაშიც აქტიური სემანტიკით გვხვდება.

ამგვარადვე, შესიტყვებები იგება (აიგება) სახლი ან იგება (დაიგება) ასფალტი პრესის ენაში ეკვივალენტურია შესიტყვებებისა აგებენ (ააგებენ) სახლს, ააგებენ (დააგებენ) ასფალტს; ზოგჯერ ასეც გვხვდება სამეცნიერო ენაში;

ახლა თითქმის ყველა საწარმო, რომლებიც უამრავ ტექნოლოგიურ წყალს ხმარობს, იგება ლია ციკლით („მეცნ. და ტექნ.“).

საწარმო იგება = საწარმოს აგებენ.

მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გამოყენებული იგივე ფორმა უწინარესად ამას გამოხატავს: იგება (აიგება) ნახაზი (მოდელი), რაც ნიშნავს: ნახაზის (მოდელის) აგება ხდება/შეიძლება (უნდა) აიგოს:

უნდა აიგოს კვაზარის სრულყოფილი ფიზიკური მოდელი („მეცნ. და ტექნ.“)

ამავე ზმნური ძირიდან ნაწარმოები ფორმა გაიგება მხატვრული ლიტერატურის ენაში აქტიური სემანტიკის შემცველია და ზოგჯერ მოქმედებითის ბადალია: „რა გაიგება სიზმრისა, — მე მაინც ვეტყვივთ ვერასა“, ან: „რა გაიგება, იქნება ბრყვემა გაგვიდოს ფულზედა“ (ვაჟა, „ბახტრ.“). აქ გაიგება ფორმა ნიშნავს — რას გაუგებ (სიზმარს); რას გაიგებ. სამეცნიერო ენაში კი იგივე გაიგება ფორმა ასეთ აზრს შეიცავს: შესაძლოა გაგება (უნდა გაგებულ იქნეს). მაგ.:

ის, რისი მრავლობითის აღნიშვნაც რჩება სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შეხვედრისას, ენაში გაიგება სუბიექტად (იყეწ).

2. დასახელებული ფუნქციით — საკუთრივ ვნებითური სემანტიკის შესაძლებლობის ნიუანსით — თანამედროვე ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ენაში შეინიშნება ი-პრეფიქსიანი ვნებითის ფორმათა აქტივიზაცია, ზოგჯერ ხელოვნურ წარმოებამდე მისულიც, მაგრამ კონტექსტისა და სიტუაციისათვის შესაფერისი სემანტიკური ელფერით.

ასეთ ფორმებად შეიძლება მივიჩნიოთ:

იანგარიშება: საიდან, რა მიქნიდან, რა მომენტიდან იანგარიშება წლები? (ასტრ.).

მიიგნება: მის ახლოს არის საქმარისად კაშკაშა ვარსკვლავი, რომელიც უბრალო თვალით ჩანს და მარტივადაც მიიგნება (ასტრ.).

წარმოიდგინება: ამოხსნის სქემა თვალსაჩინოდ ასე წარმოიდგინება (ფიზ.); მოქმედება წარმოიდგინება მოქმედის თვალსაზრისით (ქეპლ); ორივე შემთხვევაში დიფერენციალი ერთნაირი სახით წარმოიდგინება (მათ.).

განიდინება: ნაწილას არ შეუძლია ამ წერტილიდან შორს გადაადგილება, ამიტომ მყარი სხეული არ განიდინება (ფიზ. VI).

გაიზიდება: ჩაიზიდება საქართველოდან წლიურად დაახლოებით 50—60 ათასი ტონის რაოდენობით („ისგ სკოლაში“).

მიიზიდება: დედამაწის მახლობლად მყოფი სხეულები მიიზიდებიან დედამაწის მიერ გარკვეული ძალით (ფიზ.).

მოითხოვება: მოითხოვება მისი მდებარეობის განსაზღვრა (ფიზ.); დიდ სიზუსტე არ მოითხოვება (ფიზ.); გარდა ამ ორი ელემენტისა, ფუნქციის განსაზღვრისათვის არაფერი არ მოითხოვება (მათ.).

დაიკვირვება: ზაფხულის თვეში — ივნისში — მზე მარჩბივის თანავარსკვლავედშია და ეს უკანასკნელი ვერ დაიკვირვება — დღისითა ცაზე (ასტრ.); მასიდან სექტემბრის ჩათვლით წაყინვა დასაძლეთ საქართველოს ტერიტორიაზე

საერთოდ არ დაიკვირვება („მეცნ. და ტექნ.“); ბათუმის რაიონში [წყინვის] მხოლოდ თითო შემთხვევა დაიკვირვება (იქვე).

განიმარტება: ჯოული შემდეგნაირად განიმარტება (ფიზ.); ეს ერთეული შეიძლება განიმარტოს პოტენციალური ენერჯის საშუალებათა (იქვე).

შეინარჩუნება: სიმყიფე ნაწილობრივ შეინარჩუნება ნორმალურ ტემპერატურამდე გახურების დროსაც („მეცნ. და ტექნ.“).

დაინახება: ასეთი ობიექტები არ დაინახება (ასტრ.); ეს ვარსკვლავი იმდენად მკრთალია, რომ მხოლოდ შედარებით ძლიერ ტელესკოპებში დაინახება (იქვე).

(შე)ისწავლება: რაციონალურ რიცხვთა უმარტივესი თვისებები საშუალო სკოლაში ისწავლება (მათ.); ვარსკვლავთა ასტრონომიაში შეისწავლება მათივე სისტემების ზოგადი კანონზომიერებანი (ასტრ.); გეოგრაფიის კურსი არ შეიძლება იზოლირებულად ისწავლებოდეს („ისგ სკოლაში“); ადამიანი შეისწავლება როგორც მართვის სისტემის რგოლი („მეცნ. და ტექნ.“).

გამოიტანება: ნულისაგან განსხვავებული მუდმივი მამრავლი ინტეგრალს ნიშნით გარეთ გამოიტანება (მათ.).

მიიღება: ბენზომინი მიიღება წარმოების ნარჩენებისაგან („მეცნ. და ტექნ.“); ამის შედეგად მკვეთრი გამოსახულების ნაცვლად მიიღება გაბნეული, ვანობნული გამოსახულება (იქვე); საერთო ძალა მიიღება ცალკეული ძალების ვექტორიული შეკრებით (ფიზ.); აღნიშნული წრეწირის ბრუნვით OX ღერძის ვარშემო მიიღება დახურული ზედაპირი (მათ.).

მიიღწევა: ტვირთის გადატანაზე დანახარჯების შემცირება გზების გაუმჯობესებით მიიღწევა („ისგ სკოლაში“); შემოთავაზებული საფილტრავი დინადგარი საიმედოა და 15 წამში განტვირთავს ტენიან ნალექს, რომელიც მხოლოდ მემბრანის ფილტრების საშუალებით მიიღწევა („მეცნ. და ტექნ.“).

გამოიყენება: ელექტროშელეგვის ორი ხერხი გამოიყენება („მეცნ. და ტექნ.“); სიმძლავრის ცნება ხშირად გამოიყენება ტექნიკაში (ფიზ.); სრულიად მსგავსი მსჯელობა გამოიყენება უმცირესი მნიშვნელობისათვის (მათ.).

მიიყვანება, გამოიყვანება, დაიყვანება: ამ კურსის სწავლების პროცესში სისტემაში მიიყვანება გეოგრაფიის ძირითადი საკითხები („ისგ სკოლაში“); ყოველი რაციონალური ფუნქციის ინტეგრება მიიყვანება მთელი ნაწილისა და ელემენტარული წილადების ინტეგრებამდე (მათ.); სფერული სამკუთხედის გვერდებსა და კუთხეებს შორის დამოკიდებულებანი გამოიყვანება სფერულ ტრიგონომეტრიაში (ასტრ.); ამ შემთხვევაში ენერჯის მუდმივობის კანონის და* ფარდობითობის პრინციპის საშუალებით გამოიყვანება კავშირი ძალასა და პოტენციალურ ენერჯიას შორის (ფიზ.); მთელი ნაწილის ინტეგრება ხარისხობანი ფუნქციების ინტეგრებამდე დაიყვანება (მათ.); იმპულსის გადასვლის გარეშე მუდმივობის კანონი ინერციის კანონზე დაიყვანება (ფიზ.).

იწოდება: მთელი და წილადი რიცხვები ერთად რაციონალურ რიცხვებად იწოდება (მათ.).

გაიწოვება: გამოსაკვლევი ჰაერის ნაკადი გაიწოვება ცილინდრულ კონდენსატორში („მეცნ. და ტექნ.“).

როგორც მაგალითებიდან ჩანს, დასახელებული ფორმები უმეტესად ზმნისწინიანია და, ჩვეულებრივ, ასეც იხმარება სამეცნიერო ნაწერების ენაში. იშვიათია და ზოგჯერ წესიდან გადახვევად ჩანს უზმნის-

წინოდ ხმარება შემდეგი ფორმებისა: **ინახება, იპოვება, ისწავლება, ირჩევა, იწოდება, იხსენება, იხსნება** და სხვ. მაგრამ სწორედ ასეთი ფორმებია უფრო ზოგადი აზრის დამტკიცება.

3. უზმნისწინო ფორმებში უფრო მეტად არის გახაზული ზოგადობის, განყენებულობის სემანტიკა. ამის გამოა, რომ ზოგჯერ ასეთი დინამიკური ფორმებით აღნიშნულია სტატიკური შინაარსი. მაგალითად, **ინახება** უფრო ხშირად, აღნიშნავს: **შენახულია** (და არა ინახავენ ან შეინახება); **იწოდება** იქნება **წოდებულია** (და არა უწოდებენ ან ეწოდება); **იხსენება** არის **ხსენებულია** (და არა ახსენებენ); **იხსნება** სამეცნიერო ენაში აღნიშნავს, რომ საზოგადოდ **ხსნაღია** და სხვ.

ასე სტატიკურად აღქმის გამო ზოგჯერ ამგვარი დინამიკური ფორმების გამოყენება აღარავითარ უხერხულობას არ ქმნის.

მაგ.: იგი **ინახება** ფოლადის კარადაში (ფიზ.); **ინახება** მის პირად საქმეში („მეცნ. და ტექნ.“).

ზემოთ განხილული ფორმები, ზმნისწინიანიც და უზმნისწინოც, დასახელებული სემანტიკით ხმარების შემთხვევაში მწყრივნიკლია. გვხვდება, ჩვეულებრივ, ახლანდელი დროის ფორმებით; იშვიათად — დრო-კილოთა I ჯგუფის სხვა ნაკვთების ფორმებით. ნამყო სრულია ფორმები თანამედროვე ქართულში მათ სრულიად აღარ ეწარმოებათ, ვინაიდან ჩვეულებითობა-ზოგადობის ან შესაძლებლობა-შეუძლებლობის გამოხატვის უნარი აწმყო-მყოფადის ნაკვთთა ფორმებს უკავშირდება. ამაშიც ჩანს ასეთ ფორმათა ხმარების სტილისტიკური ფუნქციით შეპირობებულობა. პუბლიცისტური ლიტერატურის ენაში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ასეთი ფორმები და იქაც ისეთივე ფუნქციით, როგორც სამეცნიერო ლიტერატურის ენაში. მხატვრული ლიტერატურის ენისათვის კი ამგვარი ფორმები სპეციალურ ლიტერატურაში¹⁰ შეფასებულია დიალექტისთვის დამახასიათებელ თავისებურებად, არქაიზმად ან სლიტერატურო ენის ნორმისაგან გადახვევად. შდრ. ვაჟაფშაველას ნაწარმოებთა ენაში დადასტურებული ფორმები: **იზიდება, იტანება** და მისთ.: „ზაქარა ხანჯლით **იზიდებოდა** ჩემზედ, მაგრამ იქერდენ“ („ხოლერამ მიშველა“); „ზოგი ყანისკენ მიიწევს, სხვა მთისკე **აიზიდება**“ („ნახევარწილია“); „საშინლად **იტანება** მგელი“ („პატარა მწყემსის ფიქრები“).

ამგვარად, თუ სხვა სტილის (მაგალითად, მხატვრულის ან პუბლიცისტურის) მეტყველებაში **იანგარიშება, მიიზიდება, მოითხოვება, დაიკვირვება, დაიშვირება, განიშარტება** და მისთანა ფორმების გამოყენება სალიტერატურო ენის ნორმისაგან გადახვევად, ხელოვნურ და

10 ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 296.

დიალექტურ მოვლენად შეფასდება (მაგ., მხატვრული ლიტერატურის ენაში) ან სხვა სტილის მეტყველებიდან შემონატანად (მაგ., პუბლიცისტური ლიტერატურის ენაში), სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ისინი ერთობ მოხერხებულნი აღმოჩნდნენ ობიექტური სინამდვილის ეკონომიურად და ზუსტად ასახავად. იმდენად ჩვეულებრივი გახდა მათი ხმარება, რომ ამ ფუნქციით შეუტყველოც კი გვეჩვენება.

მნიანი ვნებითები

ქართულ ენაში ვნებითის ენიანი ფორმები, საერთოდ, ნაკლებად იკუთვნენ ჩვეულებითობის ან შესაძლებლობის სემანტიკას, სამაგიეროდ, უფრო აქტიური მოქმედების გამოხატვა შეუძლიათ (ეგაასება, ელაპარაკება, ესაუბრება, შეებძოლება, ერკინება, ეჯახება და მისა.). ალბათ, ამით უნდა აიხსნას თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ენიანი ვნებითის ფორმებთან შედარებით ენიანი ფორმების ნაკლებად გამოყენება.

ენიან ვნებითებს ზოგადობა-ჩვეულებითობის სემანტიკის გამოხატვა შეუძლიათ, მაგრამ სუსტი აქვთ შესაძლებლობის ნიუანსის გამოხატვის უნარი.

1. სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ჩვეულებრივად და ხშირად გამოიყენება ენიანი ვნებითის ფორმები საკუთრივ ვნებითური სემანტიკით. ამის მაგალითებად გამოდგება შემდეგი ფორმები:

გველინება: ფოსფორიანი ეფექტორის როლში გველინება („მეცნ. და ტექნ.“).

მოეთხოვება: სახელმძღვანელოს შემდგენელ მოეთხოვებათ სიზუსტე (მათ.); მეთოდს ის მოეთხოვება, რომ... (ფიზ.).

მიეკუთვნება, განეკუთვნება: ეს ნაცრები ქიმიური თვისებებით მიეკუთვნება მკვლეური ხასიათის ნაცრებს („მეცნ. და ტექნ.“) ასეთნაირად მიღებული ფუნქციებიც ელემენტარულ ფუნქციათა კლასს მიეკუთვნება (მათ.); მათ ენას ათავსებენ ენათა იმ ჯგუფში, რომელსაც განეკუთვნება¹¹ იბერიულ-კავკასიური ენები („მეცნ. და ტექნ.“).

აღემატება, დაემატება: ამჟამად სელექციური მინის ღირებულება დაახლოებით ორჯერ აღემატება ჩვეულებრივი მინის ღირებულებას „მეცნ. და ტექნ.“; ამას უნდა დაემატოს კიდევ უსაზღვრო პერსპექტივების მქონე გარეატმოსფერული დაკვირვებანი ხელოვნური კოსმოსური სხეულებას მვეფეობით (ასტრ.).

ემთხვევა: მისი გადაადგილების წირები არც ერთ შემთხვევაში წინანდელს არ ემთხვევა („მეცნ. და ტექნ.“).

ემყარება: ეს წესი ემყარება ტეილორის ფორმულის გამოყენებას (მათ.); დასკვნა ემყარება აირის განსაზღვრული კომპოზიციის თვისებას („მეცნ. და ტექნ.“).

¹¹ განეკუთვნება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ხშირად სტატეკური მინარისითა ნახმარი (=არის).

ენიჭება: დიდი მნიშვნელობა ენიჭება მანქანებისა და მოწყობილობების "სტანდარტიზაციას" („მეცნ. და ტექნ.“).

(შე)გრწყუმება: ბურჟუაზია დაკარგავდა ძალას და დროთა განმავლობაში შეერწყმებოდა მასებს („ისგ სკოლაში“).

ესპიროება: ასტრონომიაში გეგსაჰიროება და მოხერხებულა ვიზბაროთ სიგრძის ძალიან დიდი და ძალიან მცირე ერთეულები (ასტრ.).

(წარმო)ესახება: საკითხი ასე გვესახება („კრიტიკა“); ჯერ კიდევ უძველესი დროის აღამიანმა შეაერთა თავის წარმოდგენაში ვარსკვლავები ჯგუფებად, რომლებიც საგნების, ფრინველების, მხეცების ან აღამიანის ფორმით წარმოესახა (ასტრ.).

ექცევა: დიდი ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის განვითარებას („მეცნ. და ტექნ.“); მეტი ყურადღება სახარატო თვერაციებს ექცევა (იქვე).

ეყრდნობა: საუნივერსიტეტო სწავლება ძირითადად ეყრდნობა საშუალო სკოლის გეგმას (მათ.).

ეყრება საფუძველი, ეძლევა მნიშვნელობა (პრემია...).

მი-/გა-/გადა-ეცემა: ამ ენერჯის ნაწილი გადაეცემა ატომს შინაგანი ენერჯის სახით (ფიზ.); ზემოდასახელებულ კითხვას ადვილად შეიძლება გადაეცემა-სუხი ერთ კერძო შემთხვევაში (მათ.); ზოგიერთი ფიზიკურ-მექანიკური თვისების საბოლოო შესწავლის შემდეგ რეკომენდაცია მიეცემა ნაცრის გამოყენებას ამ სახის ბეტონის დასამზადებლად („მეცნ. და ტექნ.“).

ექღვება: სახელმძღვანელოს ეს თავი სწორედ ამ თეორიას ეძღვნება (მათ.).

მიწერება: რადიოაქტივობის მოვლენის აღმოჩენაც მთლიანად რენტგენის სხივების აღმოჩენას მიეწერება („მეცნ. და ტექნ.“); ეს უნდა მიეწეროს ინტერფერონის შემოქმედებას სოკოს უჯრედშიდა რეპროდუქციის ეტაპზე („მომ-აბზე“).

მიეწოდება: მეორე ხერხით დენის წყაროს უარყოფითი პოლუსი უშუალოდ გამფრქვევს მიეწოდება („მეცნ. და ტექნ.“).

საკუთრივ პასიური სემანტიკით გამოყენებულ ენიან ვნებითებსაც ზოგჯერ სტატიკური შინაარსი აქვთ. სამეცნიერო ლიტერატურის ენიდან ასეთია, **განეკუთვნება**-ს გარდა, **მოეხსენება**, რომელიც სტატიკური იცის ზმნის ბადალია: „ყველას კარგად მოეხსენება (მოგეხსენებათ, მოგვეხსენება“) ნიშნავს: ყველამ კარგად იცის (იცით, ვიცით). მაგ.:

ნიჭი რომ გადამწყვეტი ფაქტორია, ჩვენც კარგად მოგვეხსენება („კრიტიკა“).

2. ენიანი ვნებითების ფორმათა ერთი ნაწილი სამეცნიერო ლიტერატურის ენაშიც ერთპირიანია და საკუთრივ ვნებითური სემანტიკის მქონე:

მი-/მო-/გამოედინება: საღებავი და შეკუმშული ჰაერი ორი არხით მიედინება მილბში („მეცნ. და ტექნ.“); მდინარე, რომელიც ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მოედინება, უფრო მეტად ჩამოედინებს მარჯვენა ნაპირს (ფიზ.); აბრა-

ზიული სუსპენზიის ქველი დიდი სისწრაფით გამოედინება საქშენიდან და მიემართება დასამუშავებელ ზედაპირზე („მეცნ. და ტექნ.“).

განედინება: მას [მინას], ისე როგორც ფისს, მაინც აქვს უნარი განედინოს, თორღ ძალიან ნელა (ფიზ. VII).

მოესწრება: მის სიცოცხლეში მოესწრო მხოლოდ ანალიზის შესაჯლისა და ინტეგრალური აღრიცხვის პირველი ნაწილის გამოცემა (შათ).

ჩა-/დავშვება: 23 სექტემბრიდან მზე ჰორიზონტის ქვეშ ჩაეშვება (ასტრ.); მაშინ უარყოფითად დამუხტული ღრუბლის ნაწილი აუცილებლად დაეშვება თადა ანოლზე („მეცნ. და ტექნ.“).

ზემოთ დასახელებული ზოგიერთი ფორმისათვის ორპირიანი გაგებაც არ არის გამორიცხული (მაგ., **მოებმება, მოესწრება, მოეშვება** ის მას), მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურის ენაში უპირატესად ერთპირიანი სემანტიკით გამოიყენება. მაგ.: **ებმება** (ჩაებმება) **საუბარში** ან **„ზროვნება** მთელი ძალით **ებმება** ამოცანის გადაწყვეტაში“ („მეცნ. და ტექნ.“). შდრ.: **მოებმება** მას (საქმეს) **თავი**.

3. სამეცნიერო ლიტერატურის ენაშიც შეზღუდულად, მაგრამ მაინც გვხვდება ენიანი ვნებითის ფორმები აქტიური სემანტიკით. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებისამებრ, ეს ფორმები შეიცავენ ორი პირის გაგებას. მათგან ზოგიერთი გავრცელებულია საერთო სალიტერატურო ენაში. მაგალითები:

(და)ეთანხმება: ეს შედეგი საესებით ეთანხმება გალილეისა და ნიუტონის ფარდობითობის პრინციპს (ფიზ.); გ. გროტენფენდი მრავალ საკითხში დაეთანხმა ცნობილ მეცლევარებს ტიხსენსა და მიუნტერს („მეცნ. და ტექნ.“).

(მი)ერგება: მიხაის ზეთის სუნი ერეება კოლოებს (იქვე); [დელფანებ] ხშირად მიერეებია მეთევზეთა ბადეებისაკენ თევზთა ქარაუნებს (იქვე).

ეფინება: სანამ მზე ჩვენთვის ჰორიზონტის ქვეშაა, მისი სხივები არ ეფინება ჩვენს არე-მარეს (ასტრ.).

(შე)ეცდება: შეეცდებათ გავარკვიოთ კავშირი, რომელიც არსებობს ნივთიერებასა და ველს შორის (ფიზ.).

ეცნობა: წინამდებარე წერილი გამიზნულია იმ მკითხველებისათვის, რომლებიც პირველად ეცნობიან გამოთქმათა ალგებრას ან ლოგიკის ალგებრას („მეცნ. და ტექნ.“).

ეწინააღმდეგება: ამ ფორმების მრავალსახეობა არ ეწინააღმდეგება სამყაროს ერთიანობას (ფიზ.).

ეხება: პირველ რიგში ეს ეხება ნამზადის მიღებას („მეცნ. და ტექნ.“); ობერატორი უშუალოდ არსად არ ეხება ჭეჭყიან ან ტოქსიკურ ნივთიერებებს („მეცნ. და ტექნ.“); რომელღაც მომენტში ნაწილავები ეხებია ერთმანეთს (ფიზ.).

ეხმარება: [დელფინი] მეზღვაურებს და მგზავრებს ეხმარება ნაპირზე გაგლაში („მეცნ. და ტექნ.“).

(გამო)ეხმაურება: ამ ცნობას ეეროპა-ამერიკის პრესა მსწრაფლ გამოეხმაურა („მეცნ. და ტექნ.“).

ეჭახება: მსუბუქი ნაწილაკი ეჭახება დიდი მასის ნაწილას (ფიზ.)¹².

4. როგორც ცნობილია, ენიან ვნებითთა ერთი ნაწილი ითავსებს გარდაქცევითობის სემანტიკურ ნიუანსს. სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ე-პრეფიქსიანი ნასახელარი ვნებითის ფორმათა ეს შესაძლებლობა კარგად მოერგო ამ სტილის მოთხოვნებს. ამიტომაც, რომ თავისუფლად გამოიყენება ასეთი ფორმები: ეღრება, ეთანაბრება, ემსგავსება, ემსახურება, ემორჩილება, ენათესავება, ერთდებთან, შეესაბამება, შეესატყვისება, ეუფლება, ეფარდება, ეტოლება, ექვემდებარება და მისთ.

მაგალითები:

ეღრება: [ფანქარი] წერის დროს ქაღალდს არ უნდა ჩხაპნიდეს, ხოლო სისალით ეტალონს უნდა ეღრებოდეს (მეცნ. და ტექნ.⁴).

ეთანაბრება: პოეტის წარმოსახვაში საწერი მაგიდა ბარკადას ეთანაბრება („კრიტ.“).

ემსგავსება: როგორც გამოსხივების თვისებებით, ისე საერთო ბუნებით მზეს მილიარდობით სხვა ვარსკვლავი ემსგავსება (ასტრ.).

ემსახურება: სამართო ქვესისტემა ემსახურება საერთო მიზნის განხორციელებას (მეცნ. და ტექნ.⁴).

ემორჩილება: არსებობს ზოგადი კანონები, რომლებშიც მოქმედების ობიექტი გარკვეულ წესს ემორჩილება (მეცნ. და ტექნ.⁴).

ენათესავება: ენათესავება რა მათემატიკას თავისი თეორიული მეთოდით, ფიზიკა ყველა სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებაზე უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული მასთან (ფიზ.).

შეესაბამება: დარტყმითი დატვირთვის გადაცემის მიმართულება ნიმუშზე შეესაბამება თეორიულ განათვლებს („მოაზბე“); ნახაზე აღნიშნული ჩრდილის სიგრძეები შეესაბამება 10 მეტრის სიმაღლის სვეტს (ასტრ.).

შეესატყვისება: ეს მოწყობილობა შეესატყვისება ტექნიკურ მოთხოვნებს (მეცნ. და ტექნ.⁴).

ეტოლება: ერთეულოვანი რადიუსის სფეროზე აღებული დიდი წრეწირის რკალის სიგრძე ეტოლება რადიანებით გამოხატულ იმ კუთხეს, რომელიც სფეროს ცენტრშია (ასტრ.).

¹² მხატვრული და პუბლიცისტური ნაწერების ენაში აქტიური სემანტიკით ნახმარი ენიანი ვნებითის ფორმების მართლწერის წესები ხშირად ირღვევა. შეიძლება შეგვხვდეს ელაპარაკეს, ეხესხეს, შეეკითხეს და მისთ. ფორმები ნაცვლად სწორი ელაპარაკენ, ეხესხენ, შეეკითხენ... ფორმებისა. ამისავე განსხვავებით, სამეცნიერო ლიტერატურის ენაში არ შეინიშნება თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმათა დარღვევა არც ამ და არც სხვა რომელიმე შემთხვევაში. არ გვხვდება: დაეთანხმეს, მოეფინეს, შეეცადეს, შეეწინააღმდეგეს, შეეხეს, დაეხმარეს, გამოეხმარეს, დაეჭახეს ფორმები, რაც მეტნაკლებად მოსალოდნელი იყო მათი აქტიური სემანტიკის გამო. ზეპირ მეტყველებაში უმეტესწილად ასეც გვხვდება, მაგრამ ნაწერსა ან ნაბეჭდში, სამეცნიერო სტილის გარდა, სხვაგან ყველგან შეიძლება დარღვევის ფაქტები დავადასტუროთ (იხ. თ. ღვინაძე, დარღვევები ვნებითი გვარის ფორმათა მართლწერისა და გამოყენებისას თანამედროვე ქართულში, ქსკს, V, გვ. 110-112).

ეუფლება: კაცობრიობა მეცნიერული კვლევის საშუალებით სულ უფრო მეტად ეუფლება ბუნების საიდუმლოებას („მეცნ. და ტექნ.“); ასეთი განწყობილება გვეუფლება („კრიტ.“).

შეფარდება: არცერთ ენას არ ძალუძს შექმნას დასახლებათა ისეთი რაოდენობა, რომელიც დაახლოებით მაინც შეეფარდება ღმრთა ჟერტა სიმრავლეს (ნ. მირიან.).

ექვემდებარება: მიკრობიოლოგიური პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები რუსაუბლიკაში სხვადასხვა უწყებას ექვემდებარება („მეცნ. და ტექნ.“).

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, აღნიშნული ფუნქციით არაიშვიათად გვხვდება ენიან ვნებითა წარმოების სხვა შემთხვევაში მოულოდნელი ფორმებიც. ერთ-ერთი ამგვარი ფორმაა **ემაგრება**, რომელიც მი-ზმნისწინით (**მიემაგრება**) უკვე უშუალოდ ფორმადაა ქცეული. სალიტერატურო ენის სხვა სტილის მეტყველებაში ამ ზმნის ვნებითის ფორმა, ჩვეულებრივ, დონიანია (**მაგრ-დ-ე-ბ-ა**) გარდაქცევითობის ნიუანსით (=მაგარი ხდება). **ე-მაგრ-ე-ბ-ა** ფორმით სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ვადმოიცემა მნიშვნელობა **ა-მაგრ-დ-ე-ბ-ა** ფორმისა, რომელიც ხელოვნური ფორმა ჩანს აქტიური ზმნისა **ამაგრებენ**. ამგვარი ფორმები კიდევ ერთხელ აშკარად გვიჩვენებენ, რომ **ე-** თავსართი ვნებითის ფორმისა, აქტიური ზმნის **ა-** თავსართის მსგავსად, ობიექტთან სუბიექტის მიმართების ამსახველია¹³. მაგალითად:

კარკასის გრძივი სიხისტისა და მღვრადობის უზრუნველყოფა ხდება გაკიმული მოქნილი შაკავშირებლებით, რომლებიც კარკასის ბოლოში სპეციალურ საჭიმებს ემაგრება („მეცნ. და ტექნ.“).

ლიანები სხვადასხვა საშუალებით ეკიდებიან საყრდენ მცენარეებს: ზოგი მთელი ტანით ეხვევა ძირითად მცენარეს (ხვარტქლა, ლობიო, ცის ვაზი), ზოგი ემაგრება აწკალის შემოხვევით (ვაზი, ეკალა, გოგრა) („მეცნ. და ტექნ.“).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში გამორიცხული არ არის, რომ **ემაგრება** ფორმის არჩევა წინადადებაში განაპირობა სხვა ზმნების ვნებითურმა ფორმებმაც (**ეკიდება**, **ეხვევა**).

5. სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ენიანი ფორმების საწარმოებლად გამოყენებულია ქართული სალიტერატურო ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის ისეთი სიტყვა, რომელიც თანამედროვე ქართულში აღარ (ან ძლიერ იშვიათად) იხმარება. ასეთი გაცოცხლება ლექსიკისა უმთავრესად ტერმინოლოგიური დანიშნულებით სახმარი სიტყვების მიმართ შეიმჩნევა. ასე, მაგალითად, უძველესი სიტყვა **თანად-ი**, რომელიც **თანა** თანდებულოვან-ზმნისართული წარმომავლობისაა, თანამედროვე ქართულში მისი

¹³ ბ. ჯორბენაძე, ზმნის ზმოვანბრედიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1986, გვ. 85—105.

ჩვეულებრივი მნიშვნელობით აღარ იხმარება. საბას ლექსიკონში იგი შეტანილია ზედსართავის მნიშვნელობით „თან სადევნებელი“. ნიკო ჩუბინაშვილს თანად ზმნისართისათვის აღნიშნული აქვს მნიშვნელობა ერთად, ერთბაშად. დავით ჩუბინაშვილი კვლავ მის ზედსართავულ მნიშვნელობას აღნიშნავს (მოქენე, მოვალე).

ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ (თბ., 1973) მიხედვით, ძველი ქართული ენის ძეგლებში თანად ზმნისართაი დასტურდება ზმნისართული ან თანდებულის მნიშვნელობით: ერთად, -თან, -ურთ.

თანამედროვე ქართულში სიტყვა თანადი ზედსართავად გამოიყენება მხოლოდ სპეციალური ტერმინოლოგიური დანიშნულებით — მის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობაზე დაყრდნობით (შესიტყვებაში — თანადი წიგნების კატალოგი — თანადი ნიშნავს ნამდვილად, ფაქტობრივად არსებულს).

თანად- ფუძისაგან არის ნაწარმოები სახელი სათანადო (=შესაბამისი, შესაფერისი, ჯეროვანი, საჭირო) და ზმნისართი სათანადოდ (შესაბამისად, შესაფერისად, ჯეროვნად; ისე, როგორც საჭიროა...).

ამავე სახელური ფუძიდანაა ნაწარმოები თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გავრცელებული ე-თანად-ებ-ა ფორმა ასეთი მნიშვნელობით: შეეფარდება, შეეფერება, შეესატყვისება... მაგალითად:

ამ მრუდის ყოველ წერტილს ეთანადება პოტენციალური ენერჯის ერთი და იგივე მნიშვნელობა (ფიზ.); ავიღოთ გრაფიკზე რომელიმე M წერტილი, რომელიც აბსცისის X მნიშვნელობას ეთანადება (მათ.); ასე გამოიყოფა წერტილები, რომლებიც ეთანადებიან მთელ რიცხვებს (მათ.); თურქული „ურა“ ნიშნავს „დაპაჩირი“, რაც ქართულ „ჰა მაგას“ ეთანადება („ქელ სკოლაში“).

ენიანი ვნებითის ფორმათა ეს სემანტიკური შესაძლებლობა — გამოხატონ გარდაქცევეთობა სასხვისო ქცევის ელფერით — მოხერხებულად არის გამოყენებული თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ენაში. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შედარებით იშვიათად ხმარებული ფორმებიც:

ამგვარად, ა-ხელ-ა'ში -ელ არა მარტო იმიტომ გამოიყოფა, რომ ფუძედრეკალია, არამედ იმიტომაც, რომ მას ეპარალელეება ხედ-ვა („მოამბე“).

-დ-სუფიქსიანი ვნებითები

-დ-სუფიქსიანი ვნებითის ფორმათა ხმარება სამეცნიერო ლიტერატურის ენაში შემდეგ თავისებურებებს გვიჩვენებს:

ა) ზმნების ერთი ნაწილი უპირატესად სწორედ დონიანი ვნებითის ფორმით იხმარება: დასტურდება, დგინდება, ვლინდება, ვრცელ-

შანგაუნუმის ღარიბი კარბონატული მადნების ქიმიური გამდიდრების საცდელი სამუ-
ქრო (ჰმეცნ. და ტექნ. 4); ჩვენი საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა 14
საერთაშორისო ასტრონომიული კავშირი (ასტრა.).

ხასიათდება: ავტომატარებელი ხასიათდება მაღალი მანერჯულობით (ჰმეცნ.
და ტექნ. 4); ეს მოძრაობა შემდეგი თვისებებით ხასიათდება 15 (ფიზ.).

(გან)ხორციელდება: ელექტროდალექის პროცესი ხორციელდება მუდმი-
ვი დენის ან ელექტროდებზე მუდმივი ძაბვის დროს (ჰმეცნ. და ტექნ. 4); გახურე-
ბული საღებავის უპაერთ გაფრქვევა ანუ „ცივად გაფრქვევა“ შედგმივად ხორცი-
ელდება (იქვე); განხორციელდა ექსპერიმენტი (ჰმეცნ. 4); სხვადასხვა კონ-
კრეტულ შემთხვევაში ეს წესი სხვადასხვანაირად შეიძლება განხორციელ-
დეს (მათ.).

ხორციელდება ფორმაც საკმაოდ ხშირად (და ზოგჯერ უმართებუ-
ლოდაც) გამოყენებული ფორმა თანამედროვე სალიტერატურო ქარ-
თულში საერთოდ და, ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურის ენა-
შიც. მაგრამ აქ მას ერთგვარად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და
შეიძლება ამის გამო მეტი გამართლებაც ჰქონდეს.

ბ) ზოგ დონიან ფორმას აშკარად ხელოვნური ელფერი აქვს მეც-
ნიერების ენაშიც. როგორც ცნობილია, -დ-სუფიქსიანი წარმოება ყვე-
ლაზე პროდუქტიულია თანამედროვე ქართულში. სულ ახალ-ახალი
ფუძვებისაგან შესაძლებელი ხდება ახალი ფორმების წარმოება. ეს
შესაძლებლობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ყველანაირი
სტილისთვის არის მოხერხებული და თანამედროვე სამეცნიერო ლი-
ტერატურის ენაშიც ფართოდ გამოყენებული.

მაგალითად, სახელისაგან დარ-ი (=ტოლი, ბადალი) თანამედროვე
ქართულში გვაქვს ვნებითის ბუნებრივი ფორმა ე- პრეფიქსით (ე-დრ-
-ებ-ა < ე-დარ-ებ-ა) სტატიკური შინაარსით (=ტოლია, მისი დარი, ბა-
დალია). სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გვხვდება განსხვავებული
ნიუანსის, დინამიკური მოქმედების გამომხატველი უ-დარ-დ-ებ-ა ფორ-
მაც. აღსანიშნავია ზოგი სხვა შემთხვევაც, მაგალითად:

ამის მიზეზის გასარკვევად ერთმანეთს უდარდება ფორმები (იქვე).

ვარჯიშდება: ლაშქრობის ყველა მონაწილე უნდა გავარჯიშდეს რუკით
სარგებლობაში („ისე სყოლაში“).

14 სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ჩამოყალიბდა ხშირად შეიქმნა, დარსდა
ზმნათა სინონიმად იხმარება.

15 აღსანიშნავია, რომ ხასიათდება ფორმა თანამედროვე სალიტერატურო ქარ-
თულში ძალზე ხშირად უმართებულოდ იხმარება ფორმით აქტიურა, სტატიკური
სემანტიკის ახასიათებს ფორმის ნაცვლად.

გათვალისწინდება: ასეთი ლაშქრობის ორგანიზაციის დროს... უნდა შემუშავდეს გეგმა და დროულად გაითვალისწინდეს სხვა ყოველი წვრილმანი („ისე სკოლაში“).

სახელდება: იშვიათი როლია, რომ ვნებიოდ სახელდება ყოველგვარი ზნა, რომელთაც თავში ი მოუღიოთ (მ. თალაკვი).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ჩვეულებრივი აქტიური ზმნის **ასახელებენ** ფორმის ნაცვლად სამეცნიერო ლიტერატურის ენა ირჩევს პასიური სემანტიკის **სახელდება** (იგი) ფორმას.

ხელოვნურობის ელფერი აქვს უცხოური სახელებისაგან დონიანი ფორმების წარმოებას ზოგ შემთხვევაში, თუმცა სხვანაირ ვნებითებს ვერც შეეხვდებით:

ანალიზდება: ინფორმაცია, რომელიც გადის შემსრულებელ ორგანოებში, კვლავ ანალიზდება, ფასდება მმართველი სისტემების მიერ („მეცნ. და ტექნ.“).

დაიონდება: მაღალ ტემპერატურაზე ცეზიუმის ატომები ადვილად დაიონდება („მეცნ. და ტექნ.“).

კატალიზდება: ქსენობიოტიკთა ბიოქიმიური დეტოქსიკაციის მთავარი ეტაპი — ჟანგის რეაქცია — კატალიზდება ფერმენტთა კომპლექსით (იქვე).

გ) უფრო ხელოვნური ჩანს უცხოური წარმომავლობის **-იზ** და **-ირ** (ან **-იზირ**) სუფიქსებიანი სახელებისაგან ნაწარმოები **-დ-სუფიქსიანი** ფორმები, რომლებიც საკმაოდ ხშირად იხმარება სამეცნიერო ლიტერატურის ენაში — ზოგჯერ აშკარა აუცილებლობით, ზოგჯერ კი მხოლოდ უცხო სიტყვების დახვედრით გატაცების გამო, რაც ამ სტილის ერთ-ერთ სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს.

ერთი მხრივ, გვაქვს **დოკალიზდება**, **ნაციონალიზდება**, **სპეციალიზდება** და მისთ, ხოლო მეორე მხრივ, **ასოციირდება**, **ამოგრაფირდება**, **დეფორმირდება**, **ელექტროფიცირდება**, **ვიბრირდება**, **იზოლირდება**, **კვალიფიცირდება**, **კონსტრუირდება**, **კონცენტრირდება**, **ნიველირდება**, **რადიოფიცირდება**, **რეგულირდება**, **ტრანსპორტირდება**, **უნიფიცირდება**, **ფიქსირდება**, **ფორმირდება** და მისთ.

მაგალითები:

ა) **-იზ-სუფიქსიანი** ფორმები:

ჭარხანა სპეციალიზდება ფეთქებელი ატომობოლების, თვითმავალი სკრეპერებისა და საწვავების წარმოებაზე („მეცნ. და ტექნ.“).

16 ასეთ შემთხვევებში მხედველობაში მისადება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მძლავრად მოქმედი ტენდენცია მეტყველების ეკონომიას: აღწერილი (გათვალისწინებულ იქნეს) ფორმის ნაცვლად სინთეზური ფორმის წარმოება.

ბ) -ირ-სუფიქსიანი ფორმები:

საფეიქრო მრეწველობისათვის განკუთვნილი საბეჭდი ფორმები თითქმის 10-ჯერ ღრმად უნდა ამოვრავი რღეს („მეცნ. და ტექნ.“); ნათელი ელფერები და ცისფერი ასოცირდება [უნდა იყოს: ასოცირდება] ცასთან და წესაბამისად მოძრაობასთან (იქვე); ყველაფერი კონსტრუირდება ადამიანისთვის (იქვე); ერთი და იმავე ტიპის ცილის მოლეკულები მემბრანაში ერთი მიმართულებით ორიენტირდება (იქვე); დახრა რეგულირდება ჰაერის წნევით პნევმატურ საკიდზე (იქვე); ყოველი ფულკანური მოქმედება ლავისა და ფერფლის სახით ფიქსირდება ნიადაგის ზედაპირზე (იქვე); მანქანის ქცევა არის მხოლოდ ფიზიკური ქცევა, მასში ფორმირდება ფიზიკური პროცესების განხორციელებასადმი (!) მზადყოფნა (იქვე).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ამგვარ ფორმათა ხშირად ხმარება აიხსნება ტერმინოლოგიური ლექსიკის გამოყენების აუცილებლობით. სამეცნიერო ტერმინოლოგია კი, როგორც ცნობილია, ხშირად მიმართავს უცხოურ ან უცხოურად ნაწარმოებ ფორმებს¹⁷. კერძოდ, უცხოური აფიქსებია **-იზ** და **-ირ** ან მათი შენაერთი **-იზირ**.

უცხოური ფორმა (ლათ. forma) სიტყვისაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვაქვს **გაფორმება** და **ფორმირება** ნაწარმოები სახელები, რომელთაგან პირველს დაუბრკოლებლად შეუძლია დონიანი ვნებითის ფორმა ჰქონდეს უცხოური **-ირ** სუფიქსის გარეშეც: **ფორმ-დ-ე-ბ-ა**; მეორისაგან ნაწარმოები — **ფორმ-ირ-დ-ე-ბ-ა** კი მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურის ენის საჭიროებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული. **ფორმდება** (**გაფორმდება**) თავისუფლად გამოიყენება თანამედროვე ქართულში სრულიად გარკვეული სემანტიკით (=1. ფორმა მიეცემა; აფორმებენ. 2. კანონით გათვალისწინებული ან სავალდებულოდ მიჩნეული სახე მიეცემა). სამეცნიერო ლიტერატურის ენაში **ფორმირდება** გამოიყენება **ფორმდება**-ს შემცვლელად მისი პირველი მნიშვნელობის რამდენადმე განსხვავებული სემანტიკური ელფერით: **ყალიბდება**, **იქმნება**. ფორმის არჩევა (**ფორმდება** თუ **ფორმირდება**) ამ ზმნასთან დაკავშირებულ სახელზეა ძირითადად დამოკიდებული. უარყოფითი სემანტიკით სახმარად კი **დეფორმირდება** ერთადერთია სამეცნიერო ლიტერატურაში (და არა მარტო მასში).

ასევე განსხვავებული სემანტიკა და ნიუანსები უჩანს ფორმებს: **კრისტალდება** და **კრისტალიზდება**, **სპეციალდება** და **სპეციალიზდება** ან **სპეციალიზირდება**, **კონსერვდება** და **კონსერვირდება**. მეორედ დასახელებულ ფორმებს მეტი ტერმინოლოგიური ფუნქციით დატვირთვის პრეტენზია აქვთ. მაგრამ სალიტერატურო ქართულის ნორმათა

¹⁷ რ. დამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986 წ., გვ. 116—130.

თვალსაზრისით ასეთი პარალელიზმი წასახალისებელი არ არის. უმაღლესი და, განსაკუთრებით, საშუალო სკოლის ნათარგმნი სახელმძღვანელოების ენაში ფართოდ გამოყენებული ამგვარი ფორმები სასურველია შეიზღუდოს (მაგ., **დისოციირდება** ფორმა, რომელიც ქიმიის ენაში ძალზე ხშირად გამოიყენება, ბევრჯერ **იშლება** ზმნით შეიძლება შეიცვალოს).

* * *

ე. წ. უნიშნო ანუ III ტიპისა თუ სტატიკური (წერია, თესია...)¹ ვნებითის ფორმები სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გამოყენების თვალსაზრისით არავითარ თავისებურებას ან სპეციფიკურ ფუნქციურ დატვირთულობას არ ავლენენ. როგორც ცნობილია, ასეთი ფორმების რაოდენობა შეზღუდულია და რაიმე გადახრა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მათი ხმარებისას არ შეინიშნება.

სრულიად განსაკუთრებულია ე. წ. აღწერილობითი ანუ პერიფრასტული ვნებითის ფორმათა გამოყენება და დანიშნულება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ენაში. მათ აქ ფართო გასაქანი ეძლევათ და მათთვის უპირატესობის მინიჭება ხშირად აუცილებლობათაც კი არის ნაკარნახევი. ეს ცალკე, საგანგებო მსჯელობის საკითხია და ამჯერად აქ არ შევხებით.

* * *

ზემოთ შენიშნული იყო, რომ სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ზმნის ფორმები საერთოდ და მათ შორის ვნებითისაც უმეტესად დროკილოთა I ჯგუფის ნაკვთებში გვხვდება. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ I და II პირის ფორმების ხმარება საერთოდ ძალზე შეზღუდულია; მაგალითად, შეიძლება ითქვას, რომ II პირის ფორმები ჩვეულებრივი გაგებით აპრიორულად გამორიცხულიც კია. სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გამოყენებული I და II პირის ფორმები განსხვავებული ფუნქციური დატვირთულობისაა. მაგალითად, პირველი პირის ფორმები (**დავაკვირდით, გავეცანით, შევეცადეთ...**) გვხვდება ან ე. წ. ავტორისეული მრავლობითის ფუნქციით (მე = ჩვენ) — თავიდაბლობისა თუ ობიექტურობისათვის, ან კიდევ — ინკლუზიური გაგებით (მე და თქვენ: მკითხველი/მსმენელი; მე თქვენთან ერთად).

არც ერთი აღნიშნული თავისებურება საკუთრივ ვნებითის ფორმების გამოყენებასთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ ვნებითის ფორმებიც ამ ზოგად კანონზომიერებას ემორჩილება და მასზე ამიტომ შევჩერდით. ასევე, სხვაგვარი ზმნური ფორმების მსგავსად, ვნებითის ფორმებიც ზოგჯერ სრულიად დაცლილია პირის, რიცხვისა თუ დროის

კონკრეტული ლექსიკურ-გრამატიკული მნიშვნელობისაგან და განყენებული, განზოგადებული მნიშვნელობის გამოხატველია. მაგალითად, წინადადებაში — „ვიდრე ფიზიკურ კანონზომიერებათა შესწავლას დაფიქვბდეთ, საჭიროა გავეცნოთ ფიზიკური სიდიდეების გაზომვას (ფიზ.)“ — გამოხატულია ასეთი აზრი: ფიზიკურ კანონზომიერებათა შესწავლის დაწყებამდე საჭიროა ფიზიკური სიდიდეების გაზომვის გაცნობა. კონკრეტული რიცხვის, პირის და დროის გამოხატველი ფორმები (დაფიქვბდეთ, გავეცნოთ) აზრის დაუმახინჯებლად შეიცვალა უპირო ფორმებით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ არც ერთი ზმნის ფორმისათვის (მოქმედებითი გვარის — დაფიქვბდეთ, ვნებითის — გავეცნოთ) არ არის ამ შემთხვევაში არსებითი და ძირითადი ფუნქცია პირის, რიცხვის ან დროის გამოხატვა. ასეთივე ვითარება დასტურდება ვნებითის ფორმათა შემცველ სხვა წინადადებებშიც. მაგალითები:

მანიანი თავსართები გვხვდება მა-, მე-, მი- და მს სახათ (ბ. ფიზ.); იბერიულ-კავკასიური ენები ამჟამად მხოლოდ კავკასიაში მოგვეპოვება (იკეწ).

ორსავე შემთხვევაში ზმნის ვნებითი გვარის ფორმება (გვხვდება, მოგვეპოვება) არც კონკრეტული პირის, არც მრავლობითი რიცხვისა და არც ახლანდელი დროის გაგებას არ შეიცავს. ორივე ბადალია სტატიკური არის, არსებობს ზმნებისა.

* * *

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყენებული ვნებითის ფორმებს ხშირად ახლავს განმარტებით ლექსიკონებში მითითებულ მნიშვნელობათაგან განსხვავებული თუ დამატებითი ლექსიკური ნიუანსი. ეს თვისებაც არ არის საკუთრივ ვნებითის ფორმების ან ვნებითური სემანტიკით გამოწვეული, მაგრამ, რაკი ვნებითის ფორმებიც ამჟღავნებენ ამ თვისებურებას, საჭიროა ამის აღნიშვნაც კონკრეტულ ფორმებთან დაკავშირებით.

ჩვეულებრივ, ბოლისემიური სიტყვების მნიშვნელობათაგან სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელია ერთი რომელიმე მნიშვნელობის წინ წამოწევა სხვა სტილის მეტყველებისაგან განსხვავებით¹⁸. აქ უფრო შეზღუდული და შემოფარგლულია სიტყვის სემანტიკური ველი.

მაგალითები:

ა) იშლება ფორმას საზოგადოდ აქვს შემდეგი მნიშვნელობები: **გაშლა** (ყვავილი, ბადე, პერსპექტივები... იშლება/გაიშალა).

¹⁸ ბ. ფიზ. ხ. უ ა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, გვ. 179—260.

წაშლა (კვალი, ნაწერი... იშლება/წაიშალა).

დაშლა (ატომი, მოლეკულა, ნაწილაკი... იშლება/დაიშალა).

მოშლა (=წყობიდან გამოსვლა: საათის მექანიზმი იშლება/მოიშალა).

ჩაშლა ან **ჩამოშლა** (ხარშვისაგან კარტოფილი იშლება; კედელი, კლდე... იშლება/ჩამოიშალა).

გადაშლა (ისტორიის კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა)

და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურის ენაში **იშლება** ფორმის ასეთი მნიშვნელობაა წინ წამოწეული და ძირითადი: **მოიშლება** (მოიშალა; გაფუჭდება, წყობიდან გამოვა) და **დაიშლება**:

ამგვარი მექანიზმი ადვილად იშლება („მეცნ. და ტექნ.“); ზ ბგერა ქართულერ დიალექტში მოიშალა („ენათმეცნ.“); ცილები იშლება ამინომჟავებად (ქიმ.).

სამეცნიერო ლიტერატურის ენისათვის უცხოა **მოიშალა** ფორმის ისეთი მნიშვნელობა, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში გვხვდება მხოლოდ:

[ქალი] თითქოს ტანში მოიშალა, გონება დაებნა (ა. ყაზბ.); [ქალი] როგორც ხე, გაშეშდა, გაშტერდა, სრულიად მოიშალა (ლ. არა.).

ამგვარ შემთხვევაში **მოიშალა** ნიშნავს: **მოეშვა**, **მოდუნდა**. ამგვარი გადატანითი მნიშვნელობით გამოყენება აღნიშნული ფორმისა უცხოა სამეცნიერო ლიტერატურის ენისათვის.

ასეთივე თვალსაზრისით შეიძლება თვალის გადავინება ზოგი სხვა მრავალმნიშვნელობიანი ფორმის გამოყენებისთვისაც.

ბ) **იხსნება** ფორმისათვის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის სათანადო ადგილას მითითებული იყო ორი ძირითადი მნიშვნელობა: 1. **გახსნა** (კარები, წიგნი, კრება, ვზა... იხსნება) და 2. **მოხსნა** (თანამდებობიდან, დღის წესრიგიდან... იხსნება). ორივე მნიშვნელობა საქმიანი ქალაქების საქმის წარმოების სტილისათვის არის დამახასიათებელი. სამეცნიერო ლიტერატურის ენაში კი ამ ფორმის სხვა მნიშვნელობებიცაა გამოკვეთილი და წინ წამოწეული. შდრ.:

1. **იხსნება** წყალში და 2. **აიხსნება**. მაგალითად:

1. ამ რეაქციის პროდუქტები წყალში კარგად იხსნება (ქიმ.); წყალში ამოავი კარგად იხსნება (იქვე).

2. ამოაქის ესოდენ დიდი ხსნადობა იმით აიხსნება, რომ წყალთან ის წარმოქმნის ამონიუმის ჰიდროქსიდს (ქიმ.); ეს ქარაგმა ასე იხსნება [=გაიხსნება ან აიხსნება] („ენათმეცნ.“).

იხსნება ფორმის მნიშვნელობათა დაზუსტებისათვის ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აუცილებელი გახდა, როგორც ჩანს, სამეც-

ნიერთო ლიტერატურის ენის მონაცემების გათვალისწინებაც. ამ ლექსი-კონის ერთთომეულში (1986 წ.) ეს მონაცემები აისახა კიდევაც შემდეგნაირად: **იხსნება** ფორმასთან მითითებაა **ახსნება**, **გაიხსნება** ფორმებზე. **გაიხსნება** ფორმასთან კი მე-4 მნიშვნელობად აღნიშნულია: „სითხეში თანაბრად განაწილდება და მასთან ერთად წარმოქმნის ერთგვაროვან მასას, — გაიქნება, გაზაუდება. მარილი წყალში გაიხსნა. — საღებავი კარგად გაიხსნა“.

გ) **იკვეთება** ფორმა სამეცნიერო ლიტერატურის ენაში, გარდა განმარტებით ლექსიკონში დადასტურებული **გაკვეთა** (გაიკვეთა, გაკვეთილა), **მოკვეთა** (მოიკვეთა, მოკვეთილა) მნიშვნელობებისა, გვხვდება ასეთი მნიშვნელობებითაც: **გამოკვეთა** (გამოიკვეთა, გამოკვეთილა) და **გადაკვეთა** (გადაიკვეთა, გადაკვეთილა; უფრო კი — შრავლობითის ფორმით: იკვეთებიან, გადაიკვეთენ):

კვაზარების ამ წინააღმდეგობრივი ბუნების გამო თანდათან სულ უფრო ნათლად გამოიკვეთა კიბევა... („მეცნ. და ტექნ.“); მათი მოქმედების ხაზები იკვეთებიან [=გადაიკვეთებიან] რომელიღაც 0 წერტილში (ფიზ.).

დ) **იკვეცება**, **ეკვეცება** ფორმები მხოლოდ სამეცნიერო ლიტერატურის ენაში არსებული მნიშვნელობებით დასტურდება სალიტერატურო ქართულში: 1. **მათემ.** წილადის მრიცხველიცა და მნიშვნელიც ერთსა და იმავე სიდიდეზე იყოფა და 2. **გრამატ.**: სახელის ფუძის ბოლო ხმოვანი იკარგება ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას. მაგალითები:

განსხვავება მათ შორის ის არის, რომ **აკვეცება**, **ეკე** — არა (ა. შან.); ბოლო **ეკვეცება** არსებითებს, ზედსართავეებს, რიცხვითებს, საწყისებს (იქვე).

ე) **იჭრება** აწმყოს საზიარო ფორმაა შემდეგი ზმნური ერთეულები-სათვის: **ამოიჭრება**, **გადაიჭრება**, **გაიჭრება**, **დაიჭრება**, **მიიჭრება**, **მოიჭრება**, **შეიჭრება**. სამეცნიერო სტილში ამ მნიშვნელობათაგან აქტიურად იხმარება **გადაიჭრის**, **წამოიჭრის** მნიშვნელობები: **საკითხი გადაიჭრა** ან **წამოიჭრა**. ხოლო **შეიჭრება** ან **მიიჭრება** ფორმათა გამოყენება ამ სტილში ექსპრესივებად აღიქმება. მაგ.:

ყველა მეცნიერული, პირველ რიგში ფიზიკის, აღმოჩენები დაქნებთ იჭრება ხვენი ცხოვრების ყველა დარგში („მეცნ. და ტექნ.“); თვით აღამიანი მოიჭრა მთვარეზე, საიდანაც ქანების სინჯი აიღო (ასტრ.); ახლა თვით აღამიანი-მკვლევარი უშუალოდ შეიჭრა კოსმოსურ სივრცეში (ასტრ.).

ვ) **იქცევა** ფორმის მრავალი მნიშვნელობიდან სამეცნიერო ლიტერატურის ენისათვის აქტიურია მნიშვნელობები: **გადაქცევა** (იქცა, ქცეულა), **მოქცევა** (მოიქცა, მოქცეულა). ხოლო **დაქცევა** (=დაღვრა) და

წაქცევა (წაიქცა, წაქცეულა ბავშვი) მნიშვნელობებით **იქცევა** ფორმა სამეცნიერო სტილში ნაკლებად გამოიყენება.

მაგალითები:

ფხვიერი კაზში გადაიქცევა ქვისებრ მასად („მეცნ. და ტექნ.“); მეცნიერება წარმოების მამოძრავებელ ძალად გადაიქცა (იქვე). ეს შესაძლებელი რომ რეალობის ფაქტად იქცეს, საჭიროა სხვა რამ, ახალი, დამატებითი პირობა (ენათმეცნ.); სიჩქარის ცვალებადობის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად შემდეგნაირად იქცევიან (ფიზ.).

ზ) იკრიბება სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გამოიყენება არა მხოლოდ თავს **იყრის**, **გროვდება**'ს მნიშვნელობით, არამედ უპირატესად ასეთი მნიშვნელობითაც: **რიცხვები შეერთდება, ერთმანეთს მიერთება, შეჯამდება.**

მაგალითები:

ასევე შეიკრიბება ყველა ძალთა წყვილი (ფიზ.); ამგვარად, ყველა უსასრულოდ მცირეები დახასიათებულია ერთი საერთო თვისებით — ინიანი იკრიბებიან (მათ.).

ზემოთქმულის მიხედვით ნათელია, რომ სიტყვათა, ჩვენს შემთხვევაში ვნებითის ფორმათა, სრული (ამომწურავი) განმარტებისათვის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განვითარების კვალობაზე აუცილებელი ხდება სამეცნიერო ლიტერატურის ენის მონაცემთა გავალისწინებაც.

* * *

სამეცნიერო ლიტერატურის ენაში გამოყენებული ვნებითის ფორმათათვის დამახასიათებელი ჩვეულებითობა-ზოგადობისა და შესაძლებლობის სემანტიკა დაედო საფუძვლად არაერთი სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინის წარმოებას ისეთ შემთხვევაში, როცა საკმარისი არ აღმოჩნდა ამ ტიპის ტერმინთა ჩვეულებრივი (ე. ი. მოქმედების სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან) წარმოება, მსგავსად ქვემოთ ჩამოთვლილი ფორმებისა: **აალებადი** (აალებადობა), **აგზნებადი**, **ავხებადი**, **მდგრადი**, **ხსნადი** (რაც იხსნება), **ჭედადი** (რისი გამოჭედვაც შეიძლება), **მსხვრევადი**, **თხვეადი** და სხვ.

ასეთ პირობებში თანამედროვე სალიტერატურო ქართულმა ენამ მოხერხებულად გამოიყენა ერთგვარად ხელოვნური, მაგრამ საჭირო მნიშვნელობისათვის შესაფერისი **ი-პრეფიქსიანი** ან **-დ-სუფიქსიანი** ვნებითებისაგან ნაწარმოები ფორმები. მაგალითად, **ინიანი** ვნებითთაგან:

ი-გრიხ-ებ-ად-ი

ი-ღ-ებ-ა-დ-ი (ვა-ი-ღ-ებ-ა-დ-ი)

ი-შლ-ებ-ა-დ-ი (არა-და-ი-შლ-ებ-ა-დ-ი)

ი-წვ-ებ-ად-ი (ნელა-ი-წვ-ებ-ა-დ-ი) და სხვ.

ამ უკანასკნელ შემთხვევაში წვ-ად-ი ტერმინოლოგიური ფუნქციით აღარ გამოდგებოდა იმის აღსანიშნავად, რაც იწვის (რისი დაწვაც შესაძლებელია, რასაც დაწვის/შეწვის უნარი აქვს) — მისი სხვა ფუნქციით დატვირთულობის გამო. ამიტომ შესაბამისი ტერმინის შესაქმნელად გამოყენებულ იქნა ვნებითის ფორმა ი-წვ-ებ-ა+(ა)დ. იწვებადი ტერმინია და იხმარება ისეთი რამის აღსანიშნავად, რასაც აქვს დაწვის/შეწვის უნარი (თვისება).

ამგვარადვეა მიღებული ტერმინები -დ-სუფიქსიანი ვნებითის ფორმებისაგან:

მუშა-ვ-დ-ებ-ა-დ-ი

სველ-დ-ებ-ა-დ-ი (არასველ-დ-ებ-ა-დ-ი)

ყირა-ვ-დ-ებ-ა-დ-ი

შენ-დ-ებ-ა-დ-ი და სხვ.

ასეთ ტერმინებში არის ზოგადობისა და შესაძლებლობის სემანტიკა ერთდროულად: იღებადი ისაა, რაც საზოგადოდ იღება, რისი გაღებაც შესაძლებელია საზოგადოდ. ასეთივე სემანტიკით ამგვარად ნაწარმოები ფორმები (თუმცა შეზღუდულად) ძველ ქართულ სალიტერატურო ენაშიც იყო გამოყენებული (ი-ქც-ევ-ი-ხ-ი, ი-ძრვ-ი-ხ-ი...) და ამიტომაც მოხერხდა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ვნებითის ფორმათა ამ შესაძლებლობის უფრო ფართოდ გამოყენება სათანადო ტერმინების საწარმოებლად.

სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარად ნაწარმოები ტერმინების აუცილებლობის შესახებ აღნიშნულია შემდეგი: მეცნიერებისა და განსაკუთრებით კი ტექნიკის ენაში მათი გაჩენა განაპირობა რუსულიდან მოქმედებითი და ვნებითი გვარის აწმყოს მიმღეობისა და უკუქცევით ზმნათა აწმყოს მიმღეობების ქართულად გადმოცემის საჭიროებამ. კერძოდ, დასახელებულია *коксуемый* და *коксующийся* ფორმათა ქართულად განსხვავებულად გადმოცემის აუცილებლობა. ეს კი მოსახერხებელი გახდა *კოქსვადი* (*коксуемый*) ფორმის გვერდით *იკოქსებადი* (*коксующийся*) ფორმის წარმოების შემდეგ. *კოქსვადი* (*коксуемый*) არის *კოქსვის* უნარის მქონე (რაც შეიძლება *იკოქსებოდეს/დაიკოქსოს* საზოგადოდ), ხოლო *იკოქსებადი* (*коксующийся*) ისაა, რაც კონკრეტულ

სიტუაციაში კოქსვის პროცესშია, რაც მოცემულ შემთხვევაში იკოქსება¹⁹.

განსხვავებული სემანტიკური ნიუანსების ტერმინით აღნიშვნა პრაქტიკული მიზნებითაა ნაკარნახევი. ქართულ ენას ამისი მარჯვე შესაძლებლობა აღმოაჩნდა სწორედ ვნებითის პირიანი ფორმების სახით. თუმცა ხელოვნურობა ამ ფორმებისა აშკარაა, მაგრამ სალიტერატურო ენაში, თანაც სწორედ სამეცნიერო ლიტერატურის ენაში. ასეთი რამ სავსებით დასაშვებია და, მეტიც — მიზანშეწონილი. ამ ფორმების არსებობა სრულიად გარკვეული სტილის მეტყველებაში გამართლებულია სამეცნიერო ლიტერატურის ენისათვის დამახასიათებელი აზრობრივი სინუსტისა და სიცხადის, ტერმინის ცალსახად გაგების მოთხოვნით²⁰.

დასკვნები:

თანამედროვე ქართული სამეცნიერო (როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი) ლიტერატურის ენაში ვნებითის ფორმათა გამოყენების თვალსაზრისით შეინიშნება შემდეგი არსებითი თავისებურებანი:

1. ვნებითის ფორმათათვის უპირატესობის მინიჭება და, საერთოდ, პასიური კონსტრუქციების სიჭარბე. ეს თავისებურება თანამედროვე სალიტერატურო ენის ფუნქციონალური სტილების განმასხვავებელ ერთ-ერთ მორფოლოგიურ-სინტაქსურ საშუალებად უნდა ჩაითვალოს.

2. ნიშნის ვნებითის ფორმათაგან ყველაზე მოხერხებულად გამოყენება **o**-პრეფიქსიანი და **-დ-**სუფიქსიანი ვნებითები. ეს აფიქსები პროდუქტიულია საერთოდ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში და, კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურის ენისთვისაც. დიდია მათი შესაძლებლობანი ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც.

3. სამეცნიერო ლიტერატურის ენა ყველა სხვა სფეროს მეტყველების (მხატვრულისა თუ საქმიანი ქალაქდების) სტილთან შედარებით მკაცრად ნორმირებულია. ვნებითის ფორმათა მართლწერასა და გამოყენების თვალსაზრისითაც დადგენილ ნორმათა დარღვევის შემთხვევები აქ არ შეინიშნება.

4. ვნებითის ფორმები სამეცნიერო ლიტერატურის ენაში იხპარება მხოლოდ ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი **-ები/-ება** და-

¹⁹ რ. ღამბაშიძე, ტერმინოლოგიური მუშაობა საქართველოში, ქსკ, I, 1972 წ., გვ. 25; მისივე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986 წ., გვ. 136; ვ. კაკიტიძე, ალსუფიქსიან სახელთა ერთი ჯგუფის ისტორიისათვის ქართულში, ივე, XXV, 1986 წ., გვ. 115.

²⁰ Кожина М. Н., Стилистика русского языка, М., 1983 г., гв. 174.

ბოლოებით აწმყოში. ძველი -ი-ს დაბოლოება იშვიათია და მაშინაც მას გარკვეული სტილისტიკური დატვირთვა აქვს (იკუმშვის, ითქმის...).

5. ვნებითის ფორმები ძირითადად დრო-კილოთა I ჯგუფის (კერძოდ, აწმყო-მყოფადის) ნაკვეთებში იხმარება, თანაც — უზმნისწინოდ, როცა მათ ჩვეულებითობა-ზოგადობის სემანტიკის გამოხატვა ეკისრებათ (იანგარიშება, ინახება, იპოვება, ისწავლება... ღვინდება, უღარდება...).

6. ვნებითის ფორმებს სამეცნიერო ლიტერატურის ენაში ძირითადად ნამდვილი პასივის მნიშვნელობა ან უკუქცევითობის გაგება აქვთ: შესუსტებულია ამ ფორმათა აქტიურად გაგების შესაძლებლობა, რაც ძალზე ხშირია პუბლიცისტური და მხატვრული ლიტერატურის ენაში. ამ მიზეზით კი შეზღუდულია ე. წ. დეპონენსებისა და დეპონენსური ფორმების გამოყენება.

7. საერთოდ, ლექსიკურ და სემანტიკურ შესაძლებლობათა თვალსაზრისით ეს ფორმები ღარიბი და შედარებით ერთფეროვანი ჩანს, მაგრამ ზოგი ნიუანსით (მაგალითად, ჩვეულებითობა-ზოგადობის სემანტიკით) ისინი განსაკუთრებით აქტიურად იხმარებიან.